პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 166 (5456)

1975 წ. 21 აგვისტო, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დეპეშები პამირიდან

პირველამსვლელთა უფლებით

საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ნაკრებმა გუნდმა ცენტრალურ პამირში დაიპყრო ძნელად მისასვლელი უსახელო მწვერვალი (სიმაღლით 6100 მ), რომელიც უშუალოდ მოსკოვის პიკის მახლობლად მდებარეობს. ახლა მიეძღვნა საბჭოთა კოსმონავტებისა და ამერიკელი ასტრონავტების პირველ უმაგალითო ერთობლივ ფრენას, რომლის წარმატებით დამთავრების ამბავიც ქართველმა მთამსვლელებმა სულრანის ყინვარის სათავეებში შეიტყვეს. საქართველოს მთამსვლელთა ნაკრები გუნდი პირველამსვლელთა უფლებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიმართავს შუამდგომლობით, რომ მწვერვალს ეწოდოს „სოიუზ-აპოლონი".

ექსპედიციის უფროსი შ. მირიანაშვილი, ექსპედიციის უფროსის მოადგილე ო. ხაზარაძე, თ. ვაშაძე, გუნდის კაპიტანი დ. დანგაძე, მწვრთნელი ა. აბაშიძე.

• • •

საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ნაკრებმა გუნდმა ცენტრალურ პამირში დაიპყრო ძნელად მისასვლელი მწვერვალი (6500 მ). პირველამსვლელთა უფლებით გუნდის წევრებმა შუამდგომლობით მიმართეს ტაჯიკეთის სსრ უმაღლეს საბჭოს, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნული მწვერვალი მდებარეობს, რომ მას ეწოდოს ქართული პროზის დიდი ოსტატის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი.

ექსპედიციის უფროსი შ. მირიანაშვილი, ექსპედიციის უფროსის მოადგილე ო. ხაზარაძე, თ. ვაშაძე, გუნდის კაპიტანი დ. დანგაძე, გუნდის მწვრთნელი ა. აბაშიძე.

ლამაზი გოლოთქმა

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება

გრინსბორო (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი), 19 აგვისტო. კალათბურთელ ვაჟთა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ბოლო მატჩის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა გუნდების სატურნირო მდგომარეობისთვის. და მაინც, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრის სანახავად ადგილობრივ სპორტის სასახლეში უამრავი მაყურებელი მოვიდა.

მაყურებელთა მოლოდინი მთლიანად გამართლდა: მათ ნახეს ლამაზი და შინაარსიანი კალათბურთი.

პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და შესვენებამდე 5 წუთით ადრე ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 31:19. მაგრამ ბოლო წუთებში ბრწყინვალედ მოთამაშე ს. ბელოვის მონდომების წყალობით სხვაობა შემცირდა და მასპინძლებმა მხოლოდ ქულით მოიგეს ტაიმი — 39:38.

შესვენების შემდეგ სტუმრები უფრო აქტიურად თამაშობდნენ. მათ ხელთ იგდეს უპირატესობა, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნეს. შეხვედრის ანგარიშია 71:65 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი ს. ბელოვი, რომელმაც თავის გუნდს 27 ქულა შესძინა.

ამერიკელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო რ. პარიში — 18 ქულა.

რა შეიძლება ითქვას ამ მოდიფიცირებული ტურნირის პირველ ლაურეატზე? პირველ ყოვლისა ის, რომ აშკარად სჯობდა მეტოქეებს და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი. სხვაგვარად ვერ ავხსნით ამ ფაქტს, რომ გუნდმა ორი ტურით ადრე მოიპოვა მთავარი პრიზი.

საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს 7 მატჩი და წააგეს მხოლოდ ერთი — კანადის ნაკრებთან, შეხვედრა, რომელსაც ადგილების საბოლოო განაწილებისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამერიკელებმა ამ ტურნირში მხოლოდ 4 ქულა მოაგროვეს: 2 ევროპაში — იტალიისა და საბერძნეთის გუნდებთან გამარჯვებით და ორიც შინ — იუგოსლავიისა და საბერძნეთის კოლექტივებთან მატჩების მოგებისთვის.

რამდენ სიამოვნებას გვგვრის, რაოდენ გვაამაყებს ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას ყოველი წარმატების გახსენება. ორივე იყო სსრ კავშირის ჩემპიონი (ნონა — ორჯერ, ნანა — სამჯერ), ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის მფლობელი (ნონა — ორჯერ, ნანა — ერთხელ), მსოფლიოს გუნდური პირველობის ოქროს მედალოსანი (ნონას ხუთი მედალი აქვს, ნანას — ორი). საკმარისია ყოველივე ეს გაიხსენო, რომ კიდევ ერთხელ აღიარო მათი უდიდესი ნიჭი, მამულიშვილობა და დიდი მომავალი.

და ახლაც, როცა მილიონობით გულშემატკივარი მსოფლიო პირველობაზე მათი მატჩის მოლოდინშია (ეს შეჯიბრება 21 ოქტომბერს ბიჭვინთაში აიღებს სტარტს), სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ქართული ჭადრაკის აღზრდილნი მეფური თამაშის დედოფლის ტახტს ეცილებიან ერთმანეთს. ნონა გაფრინდაშვილი 13 წელია მსოფლიო ჩემპიონია. ნანა ალექსანდრიამ უკიდურესობამდე დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა მასთან თამაშის უფლება.

ცხოვრებაში ნონა და ნანა მეგობრები არიან. აი, ახლაც, ფოტოკორესპონდენტ ა. საპკოვის მიერ გადაღებულ სურათზე, ისინი მეგობრულად საუბრობენ.

• •

მეფეზე პირდაპირი იერიშით

ჩელიაბინსკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. ბრძოლა შვეიცარიული სისტემით (13 ტური) მიმდინარეობს, ყოველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან მოჭადრაკეები, რომელთაც ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატები დორფმანი (ჟიტომირი), დოროშკევიჩი (გროზნო) — 5-5 ქულა, ცეიტლინი (ლენინგრადი) და საერთაშორისო ოსტატი რაშკოვსკი (მოსკოვი) — 4,5-4,5.

საქართველოს წარმომადგენელთაგან საუკეთესო შედეგი აქვს კალატოზიშვილს — 3 ქულა. უბილავამ მოაგროვა 2,5 ქულა, სტურუამ — 2.

V ტურში უბილავამ მოუგო ლატვიის ჩემპიონს, ოსტატ გუტმანს, სტურუა დამარცხდა ოსტატ ნატაპოვთან (მოსკოვის ოლქი). კალატოზიშვილს ოსტატ ზლოტნიკთან (მოსკოვი) გამარჯვება ჩაეთვალა. VI ტურში სტურუამ მეფეზე პირდაპირი იერიშით ფარ-ხმალი დააყრევინა ჩელიაბინსკელ ოსტატ ბიკოვს. უბილავამ წააგო ოსტატ კოჩიევთან (ლენინგრადი). კალატოზიშვილი დაუზავდა ოსტატ პანჩენკოს (სევასტოპოლი).

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ჩელიაბინსკი, 18 აგვისტო.

ერთპიროვნული ლიდერი

ტიენტიშტში (იუგოსლავია) ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის III ტურში პოლონელმა ა. კულიგოვსკიმ მესამე გამარჯვება იზეიმა (დაამარცხა ისლანდიელი მ. პეტურსონი) და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მოსკოველმა ვ. ჩეხოვმა მოუგო შოტლანდიელ ე. მუირას. ეს მისი პირველი გამარჯვებაა ზედიზედ ორი ყაიმის შემდეგ. ჩეხოვს 2 ქულა აქვს. კულიგოვსკის გარდა, მას ჯერჯერობით სხვა რამდენიმე მოჭადრაკეც უსწრებს.

პირველი მოგება, პირველი წაგება

ვილნიუსში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის X ტურში, ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) პირველი მარცხი იწვნია, ო. რომანიშინმა (ლვოვი) კი პირველად გაიმარჯვა. ვასიუკოვი ზერელედ თამაშობდა რ. ხოლმოვთან (მოსკოვის ოლქი), რისთვისაც მალე დაისაჯა. რომანიშინმა ძლიერი იერიში განავითარა და ვ. ციეშკოვსკის (ომსკი) ფარ-ხმალი დააყრევინა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) — ბ. გულკო (მოსკოვი), ლ. ალბურტი — ვ. ტუკმაკოვი (ორივე — ოდესა), ლ. ბელიავსკი (ლვოვი) — მ. დვორეცკი (მოსკოვი).

გადაიდო პარტიები რ. ვაგანიანი (ერევანი) — ე. გუფელდი (თბილისი), ვ. სავონი (ხარკოვი) — ტ. გრიგორიანი, დ. ბრონშტეინი — ი. მალაშოვი (ორივე — მოსკოვი).

10 ტურის შემდეგ სავონსა და გულკოს 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ვასიუკოვსა და ტაიმანოვს — 6-6 ქულა.

იოსელიანი — ანდრეევა 1:0

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნოვოსიბირსკის ნახევარფინალურ ტურნირში 5 ტურის შემდეგ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

აი, როგორ დასრულდა ტურების მიხედვით გადადებული პარტიები: I ტური. ვ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი) — ს. ლაკიუნაიტე (პანევეჟისი) 0:1. II ტური. ლ. სემიონოვა (კიევი) — ტიმოშჩენკო 1:0, ლ. მაიოროვა (ლენინგრადი) — ნ. ტიტორენკო (მოსკოვი) 0:1. III ტური. ლაკიუნაიტე — ტიტორენკო 0,5:0,5. V ტური. ტ. ანდრეევა (ფრუნზე) — ნ. იოსელიანი (თბილისი) 0:1, ო. იგნატიევა (მოსკოვი) — ტიმოშჩენკო 1:0, სემიონოვა — ტიტორენკო 0,5:0,5.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან მ. რანიკუ (ტალინი) — 5 ქულა, სემიონოვა — 4, იოსელიანი, რ. აუზინია (რიგა), იგნატიევა, ტიტორენკო — 3-3.

ო. თურქესტანიშვილი.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ნოვოსიბირსკი, 20 აგვისტო.

კობაიძე — ლიდერებში

ზაპოროჟიეში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი.

V ტურში ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) დაამარცხა კობაიძე (თბილისი), ფომინამ (ტალინი) — ტულმანი (კიშინიოვი), აბრიკოსოვამ (ალმა-ათა) — მოროზოვა (ლვოვი), კორომინაძემ (თბილისი) — კოსე (სამარყანდი). ყაიმით დამთავრდა რუჩიევა (სევასტოპოლი) — მულენკოსა (ზაპოროჟიე) და ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) — დონჩენკოს (მოსკოვი) შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მოროზოვამ მოუგო კორომინაძესა და რუჩიევას, კორომინაძემ — აბრიკოსოვას. ყაიმით დამთავრდა ზატულოვსკაიას შეხვედრები აბრიკოსოვასა და კოსესთან.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ მულენკო და ფომინა — 4-4 ქულა. კობაიძეს, ზატულოვსკაიასა და ლიუბარსკაიას 3-3 ქულა აქვთ. კორომინაძეს 2 ქულა აქვს.

მ. თხელიძე.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ზაპოროჟიე, 20 აგვისტო.

უმაღლესი პილოტაჟი

ლენინგრადი, 19 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ივანოვოს აეროკლუბის საცდელი საწარმოო სახელოსნოების ხარატის ვ. ესკინის საკორდო აეიამოდელმა უმაღლესი პილოტაჟის ურთულესი ფიგურების მთელი კომპლექსი უჩვენა მაყურებლებს. 2092 ქულა და ჩემპიონის ოქროს მედალი — ასეთია გამარჯვებულის შედეგი.

საბჭოთა კავშირის პირველობათა მრავალგზის პრიზიორმა, მოსკოველმა ე. პეტროვმა მიიღო ვერცხლის ჯილდო (1997 ქულა), ხოლო ხარკოველმა ე. კონდრატენკომ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა — 1969 ქულა.

[illegible]-75

● მოსკოვი, 19 აგვისტო. ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში დღეს გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ბოლო, მეოთხე ამხანაგური შეხვედრა. ეს მატჩიც საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, ამჯერად ანგარიშით 3:1 (15:9, 11:15, 15:4, 15:8). ახლა საბჭოთა გუნდს დაგეგმილი აქვს მონრეალის წინაოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის (ოქტომბერი, იუგოსლავია) სამზადისის დასკვნითი ეტაპი იქნება.

რა ელის ეროვნულ საუნჯეს?

იმპერატორმა ანტონიუსმა რომში იბერიის მეფე ფარსმანი მიიწვია. მეფემ, მისმა ვაჟმა და სხვა მათმა წარჩინებულმა მხლებლებმა მარსის ველზე ცხენოსნობაში შეჯიბრება გამართეს. ქართველ მხედართა ოსტატობამ აღაფრთოვანა მასპინძლები. იმპერატორმა ცხენზე ამხედრებული იბერიელთა მეფის ქანდაკება მარსის ველზე დაადგმევინა. ამასთან, სტუმარმა კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლებაც მიიღო. ეს იმპერატორისგან ფრიად დიდი პატივი გახლდათ.

ამ ამბავს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 138 წელს მოხდა, რომაელი ისტორიკოსი ლეონ კასიუსი აღწერს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართველ ცხენოსანთა ოსტატობა სულ ბოლო დრომდეც საქვეყნოდ იყო განთქმული, მაგრამ ამჟამად ბევრით ველარაფრით დავიტრაბახებთ. დღეს სპორტულ სარბიელზე ჩვენი მხედრები უწინდელი სიჩაუქით აღარ ბრწყინავენ.

ამ წერილში ცხენოსნობის ჩამორჩენის მიზეზებზე არ ვაპირებთ ლაპარაკს. ეს სპეციალისტების საქმეა. ჩვენი მიზანი სულ სხვაა: გვაინტერესებს, რატომ უნდა იცნობდეს ჩვენი მოზარდი თაობა ცხენბურთს, ისინდს, მთიდან ცხენით დაშვებას და, საერთოდ, სპორტის ქართულ ეროვნულ სახეობებს მხოლოდ გაზეთებიდან, წიგნებიდან და უფროსების ნაამბობიდან? იქნებ ეს სახეობები საინტერესო და მიმზიდველი არ არის?

... 1957 წელს მოსკოვში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე ქართველმა ცხენბურთელებმა თამაში გააჩაღეს. მაყურებელი გაოცებული და აღფრთოვანებული უყურებდა ამ სანახაობას.

„შესვენებაზე უცხოელმა კორესპონდენტებმა ალყა შემოარტყეს სპორტსმენებს, — წერდა ამ თერთმეტი წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ზემოხსენებული შეჯიბრების მსაჯი დ. წვერავა. — განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფრანგები და იტალიელები. საფრანგეთის წარმომადგენელმა დიდი სურვილი გამოთქვა, რომ ქართველი მხედრები პარიზს სწვეოდნენ და ეს შესანიშნავი სანახაობა ფრანგებისთვის ეჩვენებინათ. იტალიელი ცხენბურთის თამაშის წესებს გვთხოვდა, ხოლო ინგლისელმა აღნიშნა: ეს თამაში თანამედროვე ყაიდაზე რომ გადაკეთდეს, კალათბურთზე ბევრად საინტერესო იქნებაო. უცხოელების დასტური ჩვენ რად გვინდა, განა არ ვიცით, რა საუნჯის პატრონიც ვართ?“

როგორ არა, ვიცით, რა სიმდიდრის პატრონიც ვართ, მაგრამ რას ვაკეთებთ მისი მოვლა-გაფრთხილებისთვის, ჩვენი ეროვნული სახეობების შემდგომი წინსვლისთვის? არაფერს — გულხელდაკრეფილნი შევცქერით მის კვდომას...

ბევრი სპორტსაზოგადოებისა და რაიონის ფიზკულტურის მესვეურები ალბათ ფიქრობენ: ეროვნული სახეობები სასპარტაკიადო პროგრამაში არ შედის, არც ოლიმპიურში. მაშ, რად გავისარჯოთ ზედმეტი შრომით, რატომ გადავყაროთ წყალში ფული?

ასე ფიქრი უდიდესი დანაშაულია. თუმცა, იქნებ ეს ზედმიწევნით „პრაქტიკული“ ხალხი არ ცდება, იქნებ სპორტის ჩვენი, ქართული ეროვნული სახეობები მართლაც მხოლოდ მიმზიდველი სანახაობაა, პრაქტიკულად კი გამოუსადეგარია. იქნებ მათი განვითარებისთვის ზრუნვა მართლაც ამაო გარჯაა?

ცნობილია, რომ სპორტსმენთათვის საერთო ფიზიკურ მომზადებაში ერთ-ერთ ყველაზე საჭირო ვარჯიშად მისი ძირითადი სახეობის ნაირსახეობა ითვლება. მაგალითად, ბრასის სტილით მოცურავე საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ბატერფლაით და კომპლექსურ ცურვაში ვარჯიშობს, თავისუფალი სტილის მოჭიდავე დროებით „კლასიკოსი“ ხდება, ჩვენი ათლეტები კი ხშირად ქართულ ჭიდაობასაც მიმართავენ. ბევრჯერ წაგვიკითხავს და გაგვიგონია, ესა თუ ის ცნობილი ქართველი ფალავანი დიდ სპორტში ეროვნული, ქართული ჭიდაობიდან მოვიდაო. ბევრჯერ გაგვიგონია და წაგვიკითხავს ისიც, ამა თუ იმ ქართველმა ფალავანმა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ქართული ჭიდაობის ილეთები გამოიყენა, რამაც გამარჯვება მოუტანაო. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ქართული ჭიდაობა ღირსეულ პატივში იყოს ჩვენში.

საერთაშორისო სახეობებს ენათესავება ბევრი სხვა ქართული ეროვნული სახეობაც. მაგრამ მათი არსებობა, ფაქტიურად ჩვენივე უსულგულობისა და უყურადღებობის გამო, უცნობია ფართო მასებისთვის. მაგალითად, სპეციალისტები ყურადღებას არ აქცევენ ჭოკით სიგრძეზე ხტომას, ოთურმას... განა პირველი სახეობა ხელს არ უწყობს ჭოკით მხტომელს დაოსტატებაში ან მეორე — ტანმოვარჯიშეს ბჯენითი ხტომის დაუფლებაში?

ყოველივე ამის შესახებ „ლელოს“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს ბევრი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. გვახსენდება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტ ვ. ელაშვილის სტატია: „ფრანგი ინსტრუქტორები და სამთო თხილამურები“, რომელსაც „ლელომ“ (1971 წ. № 54) საკმაო ადგილი დაუთმო. ჟურნალმა „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური“ დაბეჭდა (1975 წ. № 1) იგივე სტატია, ოღონდ სხვა სათაურით: „გავითვალისწინოთ ხალხური გამოცდილება სამთომთხილამურეთა მომზადებაში“. ვ. ელაშვილი თავის სტატიაში საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიდა. ფრანგ ინსტრუქტორებს პ. გრიუნბერგსა და რ. ბლანს ერთი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ. იგი სრიალის შესწავლის დასაწყის ფაზაში მოკლე თხილამურების გამოყენებას ეხებოდა.

„საფრანგეთის 37 სათხილამურო სკოლაში უკვე დანერგილია ეს სიახლე, — წერს ვ. ელაშვილი. — ფრანგი ინსტრუქტორები თავიანთი წამოწყების უპირატესობას იმით ასაბუთებენ, რომ მოკლე თხილამურით სრიალის დროს ადვილია წონასწორობის დაცვა. როგორც ცნობილია, სწრაფდაშვებისას მეტად ხშირია დავარდნა და, თუ სპორტსმენები მოკლე თხილამურების წყალობით უმცროსი ასაკიდანვე შეეჩვევიან წონასწორობის დაცვას, ტრასას უხიფათოდ გაივლიან. ამასთან, როგორც ფრანგები ამტკიცებენ, ამ შემთხვევაში სპორტსმენის მომზადებას ნაკლები დრო სჭირდება. მოთხილამურე თამამად გადის ტრასას და ფეხქვეშ კარგად გრძნობს თოვლს“. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ეს სიახლე სრულიადაც არ არის აღმოჩენა. მოკლე თხილამურები ჩვენ, ქართველებსაც გვქონია და იგი ფრიად პოპულარული ყოფილა მთიან რაიონებში. ასეთ თხილამურებს ხევსურეთში უწოდებენ ლეკმარხილას, ზემო სვანეთში — ლაჭირხალარს, რაჭაში — საცურიალებს, თუშეთში — ქოკებსა და ქოკლოზებს. მოკლე თხილამურები საქართველოს სხვა მთიან რაიონებშიც ყოფილა გავრცელებული. ბავშვები თურმე ზაფხულობითაც სრიალებენ ბალახიანი მთის ფერდობებზე.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ვ. ელაშვილის წერილის გამოქვეყნებიდან ოთხი წელი მიილია, მაგრამ სტატიამ, თუმცა ავტორი კარგად ასაბუთებდა მოკლე თხილამურების გამოყენების დადებითს მხარეებს, გამოხმაურება ვერ პოვა. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლება.

სპორტის ეროვნული სახეობების საერთაშორისო სარბიელზე გატანას დღესაც ბევრი ერი ცდილობს. მაგალითად, იაპონელები ცდილობენ გაგვაცნონ მათს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა — კენდო, ანუ ხის ხმლებით ფარიკაობა.

— ამ ხუთი წლის წინათ კენდოს იაპონელი ოსტატები ევროპის ქალაქებს ესტუმრნენ და საჩვენებელი გამოსვლები გამართეს. მონაწილეთა შორის იყვნენ ინგლისელები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები, — გვითხრა ვ. ელაშვილმა.

ქართული ეროვნული სახეობებიდან დღეს საერთაშორისო სარბიელზე ერთიც არ ჩანს, თუმცა საქართველოში ამ სახეობათა შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვის მიზნით ბევრი ღონისძიება დასახეს და განახორციელეს კიდეც. საქართველო პირველი იყო, რომელმაც რესპუბლიკის სპორტის ოსტატას წოდება შემოიღო ეროვნულ სახეობებში. ზოგიერთმა რაიონმა და უმაღლესმა სასწავლებელმა ისინდის, ცხენბურთის, მშვილდოსნობისა და ლელობურთის გარდა რამდენიმე სახეობა დანერგა (ამ მხრივ თბილისის უნივერსიტეტი გამოირჩეოდა), მაგრამ შემდეგ საქმე კვლავ უკან წავიდა. დღეს ამ მხრივ აღარაფერი, ან თითქმის აღარაფერი კეთდება. საქმე დადგენილებებსა და მიწერ-მოწერას არ სცდება.

შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებისთვის დღეს მხოლოდ „კოლმეურნე“ ზრუნავს. იგი ამ სახეობებში სპარტაკიადებსაც ატარებს, რომელთა პროგრამაში შედის ქართული ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ლელობურთი, ისინდი, ცხენბურთი. ეს არის და ეს.

შეიძლება ზოგმა თავი იმართლოს, არ გვაქვს ჩოხები ქართული ჭიდაობისთვის, დარბაზები და ინვენტარი — ეროვნული თამაშებისთვის, არა გვყავს ცხენები ცხენოსნური სახეობების განვითარებისთვისო. მაგრამ რას იტყვიან ისინი, ვისაც ამ საქმის მოგვარებისთვის ზრუნვა ევალება?

ა. გურასაშვილი.

სტრიქონები

კოლმეურნეობათა სახსრებით

ამ დღეებში სოფელ ხაბუმეში გაიხსნა კომპლექსური სტადიონი, რომელიც ლენინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების სახსრებით აშენდა. სტადიონს აქვს ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმოები.

ს. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

სოფ. ხაბუმე,
ჩხოროწყუს რაიონი.

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

ქალები სად არიან?

გორში ერთ კვირას გაგრძელდა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე (მეორე ეტაპი).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბამბეულის კომბინატის, საცდელი ქარხნის, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატისა და სხვა კოლექტივების 133 წარმომადგენელი.

I ადგილზე გავიდა საცდელი ქარხნის გუნდი (ფიზკულტურის მეთოდისტი ო. ფუხაშვილი) — 250 ქულა. 227 ქულით II ადგილზე არიან ბამბეულის კომბინატის წარმომადგენლები, ხოლო III—39-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურელები — 94 ქულა.

თხუთმეტმა სპორტსმენმა ოქროს სამკერდე ნიშნის შესაბამისი ნორმატივები შეასრულა.

უნდა ვუსაყვედუროთ საკონსერვო ქარხნის, გორვაჭრობის, მე-9 სამშენებლო ტრესტის ფიზკულტურის კოლექტივების თავკაცებს, რომლებმაც შეჯიბრებაში ერთი ქალის ჩაბმაც კი ვერ შეძლეს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ფრაგმენტები „ცისკრის“ ცხოვრებიდან

მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგები იწურება. 1 სექტემბრიდან სკოლების კარები ფართოდ გაიღება მოსწავლეთათვის. მანამდე კი რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებში მოსწავლეები ნაყოფიერად ისვენებენ, გატაცებით მისდევენ ფიზკულტურასა და სპორტს. ასეა განათლების მუშაკთა პროფკავშირის წყნეთის რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკ „ცისკარში“, მთელი სეზონის მანძილზე ამ ბანაკში დაისვენა 600-მდე ბავშვმა. ნორჩების ფიზიკური წრთობისთვის ბანაკის უფროსმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ო. ჩიქვილაძემ შემოიკრიბა ფიზაღზრდის მასწავლებლები გ. სარია, რ. ჩარგეიშვილი, ა. ლაშაური, უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ცანავა, პიონერხელმძღვანელი დ. რუხაძე და სხვ.

სურათებზე აღბეჭდილია ბანაკის ფიზკულტურული ცხოვრების მომენტები: ნორჩ ტურისტებს წინ მიუძღვება გ. სარია; დაძაბული მომენტი ფრენბურთის ბადესთან; პიონერები საჭადრაკო დაფასთან; პატარა ჩოგნის მოყვარულები ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წყნეთი.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

ქუთაისელთა ფრე

19 აგვისტოს შედგა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები კრასნოდარში შეხვდნენ ადგილობრივ „ყუბანს“ და ფრედ ითამაშეს — 0:0.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ალგა“ (ფრუნზე) 4:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:3, „რუბინი“ (ყაზანი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:3, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (მინსკი) 1:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	25	13	7	5	35—18	33
„კრ. სოვეტ.“	25	13	6	6	45—25	32
„ტავრია“	25	13	6	6	43—26	32
„ნისტრუ“	25	12	7	6	30—29	31
„ტორპედო“	25	10	10	5	31—20	30
„ქაირათი“	25	12	5	8	35—24	29
„ნეფთჩი“	25	10	8	7	31—24	28
„სპარ.“ ი.-ფ.	25	11	6	8	34—28	28
„მეტალურგი“	25	8	9	8	31—26	25
„შინიკი“	25	7	11	7	27—25	25
„სპარ.“ ორ.	24	9	7	8	24—22	25
„კუზბასი“	24	9	5	10	25—30	23
„მეტალისტი“	25	7	9	9	18—25	23
„პამირი“	25	7	8	10	27—31	22
„ყუბანი“	24	6	9	9	23—25	21
„რუბინი“	24	6	9	9	21—36	21
„ზვეზდა“	24	8	4	12	22—28	20
„სპარ.“ ნ.	25	5	9	11	18—30	19
„ურალმაში“	24	8	2	14	26—38	18
„ალგა“	25	3	3	19	17—53	9

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

დასასრულს უახლოვდება ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული საკავშირო გათამაშება „ტყავის ბურთის“ პრიზზე. ახლა ვორონეჟში და კიშინიოვში მიმდინარეობს უმცროსი და უფროსი ასაკის ბავშვთა ფინალური ასპარეზობები, რომლებშიც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 48 საუკეთესო გუნდი.

ვორონეჟში (11-12 წლის ბავშვები) სხვებთან ერთად გამოდის საქართველოს წარმომადგენელი — ქუთაისის „განთიადი“. ქუთაისელებმა პირველ სამ ტურში ერთი მატჩი მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ერთი წააგეს.

კიშინიოვში (ასაკი — 13-14 წელი) წარმატებით გამოდის ბოლნისის „მაშავერა“. ბოლნისელებმა მოიგეს 4 მატჩი ისე, რომ მეტოქეთა კარში გაიტანეს 12 ბურთი და თვითონ არც ერთი არ მიუღიათ.

პრიზიორები — მთავარი გამოცანა

უმაღლესი ლიგა

როცა პრიზიორებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, II და III ადგილებზე გასულებს ვგულისხმობთ, რადგან ყველაზე მაღალი სტრიქონი პირველივე ტურიდან კიევის „დინამომ“ მოიპოვა და საქმე უკვე გადაწყვეტილი ჩანს. ჩემი აზრით, საინტერესოა მხოლოდ ერთი: სარეკორდო იქნება თუ არა სხვაობა ჩემპიონსა და დანარჩენ გუნდებს შორის. ჯერჯერობით კიეველებმა დაკარგეს 9 ქულით ნაკლები, ვიდრე ამ მაჩვენებლის მიხედვით II ადგილზე მყოფმა „დნეპრმა“. მაგრამ მთავარია შთაბეჭდილება, რომელსაც ტოვებს მათი თამაში — მსუბუქი, თავისუფალი, გონივრული.

... 1958 წელს, როცა VI მსოფლიო პირველობის შედეგები ჯამდებოდა, გამოირკვა, რომ ჩემპიონები, ბრაზილიელები, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა საერთო წონით ბევრად მსუბუქი იყვნენ დანარჩენებზე. ამ სამედიცინო არითმეტიკულმა მოწმობამ საოცრად ზუსტად დაახასიათა ლეგენდარული გუნდის თითქმის მთავარი ღირსება. იგი მართლაც გაცილებით უფრო მსუბუქად, მოქნილად, მოხდენილად თამაშობდა, ვიდრე მისი ძლიერი მეტოქეები.

გასაგებია, რომ სასწორს არ შეუძლია ფეხბურთელის ნიჭიერება დაადგინოს. მაგრამ მაინც, როცა რომელიმე გუნდის შესახებ ვამბობთ, რომ იგი მსუბუქად თამაშობს, ეს უკვე კარგად თამაშს ნიშნავს. დაგვეთანხმებით, ეს სიმსუბუქე გამუდმებით იგრძნობა, როცა კიეველთა თამაშს უყურებ. იგი დამახასიათებელია „არარატისთვისაც“, თბილისის „დინამოსთვისაც“ (კარგ მატჩებში). ამ სიმსუბუქით თავის დროზე გამოირჩეოდა „სპარტაკიც“.

და აი, ბოლო ტურებში ყურადღება მიიქცია „ტორპედოს“ მსუბუქმა, სწორედ მსუბუქმა თამაშმა. ექვს მატჩში ამ გუნდმა 12 შესაძლებლიდან 11 ქულა დააგროვა და ჯილდოდ სატურნირო ცხრილის მეორე სტრიქონი ხვდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნახტომამდე ტორპედოელები XIV ადგილზე იყვნენ და 14 მატჩში ასევე 11 ქულა დააგროვეს. ერთი სიტყვით, მეორდება შარშანდელი ისტორია, როცა „ტორპედომ“ ჩემპიონატის დებიუტი ცუდად გაითამაშა და ბოლოს კინაღამ პრიზიორიც გახდა. მაგრამ, ვფიქრობთ, ახლა უსარგებლოა საპრიზო ადგილებზე ლაპარაკი, თუმცა გუნდების უმეტესობას მატჩების საერთო რიცხვის ორი მესამედი უკვე ჩატარებული აქვს. თვით XII ადგილზე მყოფ „სპარტაკსაც“ კი, თუ უკეთ დაიწყო თამაში, ისევე როგორც შარშან შემოდგომაზე, შეუძლია საპრიზო ადგილისთვის იბრძოლოს. ხოლო იმათ, ვინც უფრო წინაა, როგორც იტყვიან, კოზირი ხელში უჭირავთ. სჯობს ვნახოთ, როგორ თამაშობენ გუნდები. აქ სხვაობა უფრო საგრძნობია, ვიდრე დაგროვილ ქულათა რაოდენობაში.

მაშ ასე, ბოლო ტურების გმირი — „ტორპედო“. პირველ ყოვლისა, ქებით უნდა მოვიხსენიოთ მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი, რომელსაც მოთამაშეთა შერჩევის დროს გემოვნება არ ღალატობს. მაქსიმენკოვი, ფილატოვი, გრიშინი, ხრაბროსტინი — სწორედ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები აძლევენ ტონს თამაშის იმ სასიამოვნო, მსუბუქ მანერას, რომლითაც ახლა გამოირჩევა გუნდი. მართალია, „ტორპედოს“ განსაკუთრებით საიმედო დაცვა არა ჰყავს, მაგრამ გუნდი უტევს საინტერესოდ, ცოცხლად, გონივრულად. ასე რომ, იმ მაყურებლებს, რომელთაც ტორპედოელთა მწვრთნელი ახსოვთ ბრწყინვალე მარჯვენა შუამარბის როლში, სულ ადვილად შეუძლიათ იგი ახლაც წარმოიდგინონ მინდორზე თავისი მოწაფეების გვერდით: ოსტატი და შეგირდები ადვილად გამონახავდნენ საერთო ენას. მაგრამ ფეხბურთში მხოლოდ კარგად მიგნებული თამაშის ხაზი არ კმარა. სატურნირო წარმატებებს განაპირობებს მტკიცე ხასიათი. ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით ტორპედოელებს ზოგი რამ კიდევ სასწავლი აქვთ...

თბილისის „დინამო“ და „სპარტაკი“ ბოლო მატჩებში სათამაშო და ნებელობითი გაურკვევლობის, — შეხვედრის შედეგებისადმი ერთგვარი გულგრილობის მაგალითებსაც კი გვიჩვენებენ. უნდა ვაღიაროთ, რომ მათი თამაში ახლა სიამოვნებას ვერავის მიანიჭებს. ვფიქრობთ, ამისი მიზეზი დასახელებული გუნდების „მიკროკლიმატში“ უნდა ვეძიოთ, ვინაიდან მათი რეალური შესაძლებლობები ბევრად მაღალია დღეს გამოვლენილზე.

მოსკოვის „დინამო“ კი, რომელსაც იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ტორპედოს“ და ჩემპიონატის დისტანციაც უფრო თანაბრად გაიარა, მძიმე, დაძაბულად მოთამაშე გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. შემთხვევითი არ არის მცველების უხეში თამაში და მსაჯთა ხშირი გაფრთხილებები, რაც, ჩვენი აზრით, გუნდის მთელი რიგი წევრების ნაკლები მოქნილობისა და წრთობის შედეგია. გუნდს აშკარად აკლია მსუბუქად მოთამაშენი, ეგრეთ წოდებული „ტექნიკოსები“. მოსკოვის „დინამოს“ საფუძვლიანობა, სოლიდურობა ახასიათებს, მაგრამ დახვეწილი ოსტატები მას მუდამ ჰყავდა. ახლა კი, ჩემი აზრით, აქცენტი გადატანილია ათლეტიზმზე, თანაც, ამ სიტყვის ელემენტარული გაგებით.

შეიძლება ითქვას, რომ ცსკა და „ზენიტი“ ექსპერიმენტებს ატარებენ. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. არმიელები მწვრთნელ ა. ტარასოვის ხელმძღვანელობით ძლიერ, გამარჯვების მომტან თამაშს „ეძებენ“, „ზენიტი“ კი ცდილობს ბოლოსწინა ადგილს გასცდეს. ორივე გუნდს ჰყავს ახალბედები, ორივე ახდენს ცვლილებებს შემადგენლობაში, მაგრამ ექსპერიმენტებს, მეტი რომ არა ვთქვათ, ბოლო აღარ უჩანს. ყოველ შემთხვევაში, არმიელებს ბოლო მატჩებში თბილისის „დინამოსთან“ და „ტორპედოსთან“ კონსტრუქციულად არ უთამაშიათ. „ზენიტმა“, მართალია, სასურველი ქულა მიიღო, მაგრამ ფაქტიურად უბრძოლველად, აშკარად დუნედ, ზანტად, გულგრილად მოთამაშე „სპარტაკთან“ შეხვედრაში.

არმიელებს, რომლებსაც თავი არ გამოუჩენიათ ბოლო სეზონებში, აქვთ თუნდაც დანაკარგებთან დაკავშირებული ძიების მორალური უფლება. „ზენიტს“ კი აშკარად რაღაც გამოეპარა, შარშანდელი VII ადგილის იმედით გული დაიმშვიდა და უცებ აღმოჩნდა გადასროლილი ლენინგრადული ფეხბურთისთვის შეუფერებელ ადგილზე, რომელზეც წინათ იყო და რომლის დავიწყებაც, ალბათ, ძალიან უნდოდა. წინათ „ზენიტს“ მიუტევებდნენ და ეხმარებოდნენ, მაგრამ ახლა ფეხბურთში სხვა დრო დადგა. ახლა კურსი აღებულია იქითკენ, რომ სპორტული ძალა დაკავებულ „პოსტს“ შეესაბამებოდეს. ასე რომ, დარჩენილ მატჩებში (მათი რიცხვი კი ცოტა არ არის) ლენინგრადელებს შესაძლებლობა ეძლევათ თამაშით დაამტკიცონ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.

სატურნირო ცხრილში უახლოესმა იმ ორმა გუნდმა, რომლებთან ბრძოლაც, როგორც წარმოგვიდგენია, „ზენიტს“ უნდა ჰქონდეს განზრახული — „ლოკომოტივმა“ და „ფახთაქორმა“ ბოლო მატჩები კარგად ჩაატარეს. ტაშკენტელებმა მთავარი ყურადღება შეტევაზე გადაიტანეს და „ტორპედოსთან“ წაგებულ მატჩშიც კი (1:4) ცოცხლად და პერსპექტიულად თამაშობდნენ. ამიტომ ჩემპიონატის მეორე გამოცანა — ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას — აგვისტოს დამლევისთვისაც კი არანაკლებ რთულია, ვიდრე მეორე და მესამე პრიზიორების საკითხი.

ლ. ფილატოვი,
საკდესის ფეხბურთის მიმომხილველი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ხ. ალიხანოვი (თბილისი).

ქობულეთელმა ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით დაიწყეს თამაში და „მეტალურგის“ მეკარე გეგეშიძეს რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა. 36-ე წუთზე ვაჟა კვიტაიშვილმა მაინც შეძლო ბურთის გატანა.

შესვენების შემდეგ მეტალურგებმა გამოასწორეს თამაში, ქათამაძემ გაქვითა ანგარიში, შემდეგ კი ცინცაძემ დააწინაურა თავისი გუნდი.

მხოლოდ მატჩის ბოლოს მოახერხეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (ვახ. კვიტაიშვილი).

● „კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:4. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

„სალხინომ“ პირველ ტაიმშივე მოიპოვა გამარჯვება, როცა ოდიშარიამ და გაგუამ (2) სამჯერ აიღეს ხობელთა კარი. შემდეგ კანკავამ ანგარიში 4:0-მდე აიყვანა, „კოლხეთმა“ კი მხოლოდ ის შეძლო, რომ „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას დააღწია თავი. გოლი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა მამალაძემ.

● „იმერეთი“ (წულუკიძე) — უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

წულუკიძელებმა კოლექტიურად, მონდომებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანდრიაძისა (2) და ბერძენიშვილის მიერ გატანილი გოლების მეოხებით. ერთადერთი საპასუხო გოლი ეკუთვნის ჯავახაძეს.

● ასკ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა დვალიშვილმა.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ყვარლელთა კარში მე-11 წუთზე ბურთი გაიტანა გუჩუამ. ამ გოლის გასაქვითავად სტუმრებმა მეორე ტაიმი თითქმის მთლიანად შეტევაში გაატარეს, საწადელს კი მაინც ვერ მიაღწიეს.

● „კოლხეთი“ (ფოთი) — „კახეთი“ (თელავი) 1:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

ანგარიში ფოთელთა მცველმა ბურჭულაძემ გახსნა, მაგრამ თელაველებმა გააძლიერეს იერიშები, მჭედლიძემ აღადგინა თანაფარდობა, ხოლო აბდულაევმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

ცხაკაიელთაგან ბურთი გაიტანა ქაჩიბაიამ, ხოლო სტუმართაგან — სილაგაძემ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	25	18	5	2	56—32	41
„მაღაროელი“	23	17	3	3	54—12	37
„სალხინო“	25	13	7	5	45—26	33
„იმერეთი“	26	12	8	6	41—31	32
პოლიტ. ინსტ.	23	12	6	5	49—25	30
ფიზკ. ინსტ.	23	10	7	6	38—28	27
„ქართლი“	26	10	7	9	42—40	27
„ამირანი“	26	9	8	9	23—32	26
უნივერს.	20	10	5	5	26—20	25
„დურუჯი“	25	8	9	8	25—30	25
„შუქურა“	26	6	13	7	30—36	25
„ივერია“	23	8	8	7	22—18	24
„კოლხ.“ ფ.	25	10	3	12	30—28	23
„კახეთი“	24	9	4	11	28—22	22
„მეშახტე“	24	7	6	11	32—34	20
„მეტალურგი“	25	7	6	12	24—34	20
ასკ თბ.	21	8	3	10	31—30	19
„ეგრისი“	25	6	7	12	32—51	19
„განთიადი“	24	5	8	11	21—34	18
„კოლხ.“ ხ.	25	4	6	15	21—51	14
„ლოკომოტ.“	23	4	5	14	15—41	13
„ვარძია“	25	2	8	15	23—53	12

II ჯგუფი

I ზონა

„სამცხე“ (აწყური) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:2, „ფოლადი“ (რუსთავი) — „ყინცვისი“ (ქარელი) 10:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 6:1, „განახლება“ (ადიგენი) — „სამცხე“ (აწყური) 0:0, „განთიადი“ (კასპი) — „ქიმიკოსი“ (ახმეტა) 0:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 2:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1.

II ზონა

„მზიური“ (გალი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 0:0, „მექადალდე“ (ზუგდიდი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 5:1, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „მზიური“ (გალი) 6:3, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:0, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:2, „დინამო“ (ქუთაისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:5. წალენჯიხის „კოლმეურნეს“ გამარჯვება ჩაეთვალა ბათუმის „მშენებელთან“.

ზონალური პირველობა

აღმოსავლეთის ზონა

„არგოხი“ (ახმეტა) — „შალაური“ (თელავი) 3:1, „ელასტიკი“ (რუსთავი) — „იორი“ (სართიჭალა) 1:1, „მშენებელი“ (წითელი წყარო) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:1.

დასავლეთის ზონა

„ქვედა ბახვი“ (მახარაძე) — „სამეგრელო“ (ხაბუმე, ჩხოროწყუ) 3:2, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „ქვედა ბახვი“ (მახარაძე) 0:2, „სამეგრელო“ (ხაბუმე, ჩხოროწყუ) — „კოლმეურნე“ (ამბროლაური) 3:3, „ქიმიკოსი“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (თერჯოლა) 5:3.

● ●

განვლილი კვირის მატჩებში კვლავ იყო წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელმა ვ ხუსკივაძემ ფეხი ჩაარტყა ერთ-ერთ მეტოქეს, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს. ასევე დასაჯეს მსაჯებმა თელავის „კახეთის“ წევრი ო. თვალიაშვილი, მახარაძის „ქვედა ბახვის“ ფეხბურთელი ჯ. ვაშალომიძე. მინდვრიდან არიან გაძევებული, აგრეთვე, ლანჩხუთის „კოლმეურნის“ მოთამაშეები რ. ჩახუნაშვილი და ი. ჩხაიძე.

მიმდინარე სეზონში მესამე გაფრთხილება მიიღეს ზ. ადამიამ (ფოთის „კოლხეთი“), გ. თუნთიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხოლო მეორე — ნ. ნოვრუზოვმა (ადიგენის „განახლება“).

გაფრთხილებული არიან: დ. კობიაშვილი („კახეთი“, თელავი), ბ. ჯორბენაძე („მაღაროელი“, ჭიათურა), ვ. ძანძავა („მზიური“, გალი), ვ. რეხვიაშვილი („მესხეთი“, ახალციხე), რ. ცალუღელაშვილი („იორი“, სართიჭალა), შ. ბალიაშვილი („არაგვი“, დუშეთი).

საბჭოთა გუნდები — უცხოეთში

ბუდაპეშტი, 19 აგვისტო. უნგრეთში სტუმრადაა ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეჯიბრებაში. ამ ბლიც-ტურნირის პირველ მატჩს მოსკოველები 20 აგვისტოს ჩაატარებენ ადგილობრივ „ფერენცვაროშთან“, მეორე დღეს კი „ჩეპელთან“ ექნებათ საქმე. შეჯიბრებაში არგენტინის „ესტუდიანტესიც“ მონაწილეობს.

17 აგვისტოს ცსკა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდა ბუდაპეშტის „ჰონვედს“, რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. მოსკოველებს რამდენიმე ძირითადი მოთამაშე აკლდათ — მინდორზე არ გამოსულან ასტაპოვსკი, კოპეიკინი, უტკინი, ვისოკიხი. მიუხედავად ამისა, მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ მათ მასპინძელთა კარის აღების რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენეს. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ფარუ, 19 აგვისტო. პორტუგალიაში სტუმრად მყოფმა დონეცკის „შახტიორმა“ მესამე მატჩი ქვეყნის სამხრეთში მდებარე ამ ქალაქში გამართა, ანგარიშით 4:0 სძლია ადგილობრივ „ფარენს[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ცნობები მონრეალიდან

Montréal 1976



შიდა ხედი ოლიმპიური ველოდრომისა, სადაც უკვე გაკეთებულია ცხაური სახურავი, მიმდინარეობს სამუშაოები ტრეკის მოსაწყობად და შესაღებავად. ოლიმპიადის დროს იგი გამოყენებული იქნება ველოსპორტისა და ძიუდოსთვის.



ოლიმპიური პარკის ხედი ჩრდილოეთიდან, სადაც ჩანს კოშკის საძირკველი, ქვედა ცენტრი გვერდებზე საცურაო კომპლექსის სახურავის სექციებით.



ოლიმპიური სანიჩბოსნო არხი კუნძულ ილ ნოტრ-დამის პარკში. ხედი ჩრდილოეთიდან წმინდა ლავრენტის ყურის საზღვაო არხის პარალელურად. ბაზაში შედის ელინგები, სანაპირო, ტრიბუნები, საკონტროლო კოშკები და სხვა ობიექტები. არხი გამოყენებული იქნება ოლიმპიური შეჯიბრებებისთვის აკადემიურ, აგრეთვე, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში.



ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. პირამიდების სახე ყოველდღიურად იცვლება. სურათზე ჩანს ოლიმპიური პარკიც.

მონრეალის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ იგი უზრუნველყოფს საერთაშორისო და ეროვნული პრესის ყველა წარმომადგენელს ყველა სახის მომსახურებით, რაც კი გათვალისწინებულია სპორტული პრესის საერთაშორისო ფედერაციის (აიპსი) დებულებით და ოლიმპიური წესებით. ამ მუშაობის უზრუნველყოფისთვის კომუნიკაციის დეპარტამენტში გაიხსნა განყოფილება, რომელსაც ეწოდა „პრესსამსახური-76“. ამ განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნულია მიშელ ლაბროსი, რომელიც აიპსთან შეთანხმებით დამტკიცებულია, აგრეთვე, XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების პრესის სამსახურის დირექტორადაც. ამგვარად, მონრეალის ოლიმპიადის ხელმძღვანელ ორგანოებში ბოლო ვაკანსია შეივსო.

წარმოების პროცესშია ნახევარსაათიანი დოკუმენტური ფილმი მონრეალის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მზადების შესახებ. იგი ეკრანებზე შემოდგომაზე გამოვა. ფილმს იღებს ოტავის კინოკომპანია „კროლი ფილმსი“. რეჟისორია პიტერ ლიველინი, სცენარის ავტორი — დონალდ ბრიტაინი. კინოფილმს ეწოდება „ერთი წლით ადრე...“ მას უჩვენებენ კინო- და ტელეეკრანებზე როგორც კანადაში, ისე საზღვარგარეთ. ფილმი გახმოვანდება ორ ენაზე — ინგლისურად და ფრანგულად.

მონრეალის ახლოხან დამთავრებული სანიჩბოსნო არხი ძალიან მოეწონა აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს თომას კელერს, რომელმაც ამ ბაზის ინსპექცია ჩაატარა. არხი მდებარეობს ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც 1967 წელს მონრეალის მსოფლიო გამოფენა იყო მოწყობილი, და ქალაქის ცენტრს ეკვრის. კელერის სიტყვით, ეს პირველი შემთხვევაა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, როცა არხი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. კუნძულს ჰქვია ილ ნოტრ-დამი. პირველი შეჯიბრება აქ იყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელიც 6-10 აგვისტოს ჩატარდა.

28 სექტემბერს მოეწყობა მეექვსე ტირაჟი კანადის ოლიმპიური ლატარიისა, რომლის საპრიზო ფონდიც 28,5 მილიონ დოლარს შეადგენს. ტირაჟით გამოშვებული იქნება 7 მილიონ-ნახევარი ბილეთი. სულ ოლიმპიური ლატარიის ხუთი უკვე ჩატარებული ტირაჟის მანძილზე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა 105825000 დოლარი მიიღო.

მონრეალის ბალახის ჰოკეის მინდვრის ხელოვნური საფარი მოეწონა ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (ფიხ-ი) ხელმძღვანელობას. ივლისის ბოლოს აქ გაიმართა რვა ქვეყნის წინაოლიმპიური ტურნირი. ფიხ-ის პრეზიდენტმა რენე ფრანკმა განაცხადა, რომ ფედერაცია წინადადებას იძლევა ეს მინდორი ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირის სარბიელად გამოიყენონ.

კანადის და ამერიკის ექვსმა ფირმამ გადაწყვიტა ნახევარი მილიონი დოლარის სპორტული და სხვა სახის აღჭურვილობა მიაწოდოს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს აფროსნობაში ძირითადი შეჯიბრებებისთვის (კინგსტონი). ეს ფირმები ოლიმპიადის მონაწილეებისთვის დაამზადებენ 52 მცურავ დოკს, 66 სათვალთვალო კატერს, 42 მაშველ კატერს და სხვა მოწყობილობას.

მონრეალში უკვე დამთავრებული წინაოლიმპიური კვირეულის დროს გამოყენებული იყო ტანვარჯიშის, ფრენბურთის, ბალახის ჰოკეის, აკადემიური ნიჩბოსნობის, აფროსნობის, წყალბურთის, ძიუდოს, ცხენოსნობის (სამჭიდი), მძლეოსნობისა და ფეხბურთისთვის განკუთვნილი სპორტული ბაზები. მიუხედავად ამისა, ყველა შეჯიბრება ოლიმპიურ ბაზებზე არ ჩატარებულა, ვინაიდან ზოგიერთი ეს ნაგებობა ჯერ კიდევ მშენებლობის სტადიაშია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა გერმან ვან კარნებეკმა, რომელმაც სოკ-ის ტექნიკური დელეგატის ჰარი ბენქსის თანხლებით იმოგზაურა მონრეალში კომიტეტის პრეზიდენტ ლორდ კილანინის დავალებით, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ოლიმპიური მშენებლობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და თამაშების დაწყებისთვის ალბათ ყველაფერი მზად იქნება. მან თქვა: „ჩვენ შეშფოთებული ვიყავით მონრეალში ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობით, მაგრამ ბოლო ათ კვირაში საქმე ისე წავიდა, რომ საგრძნობლად დავმშვიდდით“.

მონრეალის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ფირმა „ვრიგლის“ მისცა უფლება, რომ თამაშების ემბლემა სალეჭი რეზინის ეტიკეტებზე გამოიყენოს. ამისთვის ფირმა საორგანიზაციო კომიტეტს გადაუხდის 100 ათას დოლარს და თამაშების მონაწილეებისთვის უფასოდ მიაწვდის 10000 დოლარის სალეჭ რეზინს.

(საქ. ინფ.).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გდრ-ის ნაკრების წარმატება

კარაკასში (ვენესუელა) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის ნაკრები, „რეალ-სარაგოსა“ (ესპანეთი), არგენტინის პირველი ლიგის გუნდი „სენტრალი“ (როზარიო) და პორტუგალიის თასის მფლობელი „ბოავისტა“ (პორტუ).

გერმანელმა ფეხბურთელებმა წარმატებით ითამაშეს და პირველი პრიზიც მოიპოვეს.

საყურადღებო სიახლე

ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, ეროვნული თასის გათამაშებაში საყურადღებო სიახლეა შემოღებული.

თუ თასის გათამაშების მატჩი ფრედ დამთავრდა, არც დამატებითი დრო ინიშნება და არც 11-მეტრიანი დარტყმების სერია. უბრალოდ, გამარჯვებულად ცხადდება სტუმრების გუნდი, რომელიც შემდეგ წრეში გადის.

ისევ ბაროტი

იმასთან დაკავშირებით, რომ უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი ბოციკი ჯერ ვერ გამოჯანმრთელდა და მისი შემცვლელი მურიც ავად გახდა, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელად დანიშნა ცნობილი სპეციალისტი ბაროტი, რომელიც მანამდე უნგრეთის ოლიმპიურ ნაკრებს წვრთნიდა. 1957-1966 წლებში ბაროტი უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი იყო და დიდად შეუწყო ხელი გუნდის აღორძინებას.

ბაროტიმ განაცხადა, რომ საჭიროა ნაკრების საფუძვლიანად გადახალისება. მან გუნდში შეიყვანა ახალგაზრდა ფეხბურთელები: მეკარე ჰაიდუ („ჩეპელი“), ნახევარმცველი ნილაში („ფერენცვაროში“), გარემარბი მაიერი („ვიდეოტონი“).

უახლოეს ხანში ბაროტი სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდასაც აპირებს.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 აგვისტო. დღეს აქ შედგა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 31-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“ — 1, 7, 14, 23, 26, 44;

„სპორტლოტო-2“ — 21, 28, 30, 32, 41, 45.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს თასი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 21 აგვისტო. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). დასაწყისი 17 ს. 30 წთ.

ბრძოლა მწვავდება

წინა ნომრებში ვიუწყებოდით ბალახის ჰოკეისტთა საკავშირო პირველობის მონაწილე (I ჯგუფი) ქუთაისის „ლოკომოტივის“ შეხვედრების შედეგებს. ახლა გაგაცნობთ დანარჩენი მატჩების შედეგებს.

14 აგვისტო. „ვოლნა“ (ლენინგრადი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ბაქო) 0:2, „სტარტი“ (გორკი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 3:0, „ნეფტიანიკი“ (ნოვოკუიბიშევსკი) — „მეხნატი“ (ანდიჟანი) 0:0.

17 აგვისტო. „ვიმპელი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ბაქო) 0:2, „სტარტი“ — „მეხნატი“ 1:1, „ნეფტიანიკი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ. (ბაქო)	12	6	5	1	23—10	17
„ვიმპელი“	12	6	5	1	12—5	17
„მეხნატი“	12	6	4	2	15—7	16
„სტარტი“	12	4	3	5	11—11	11
ფიზკ. ინსტ. (ერევანი)	12	4	3	5	15—16	11
„ნეფტიანიკი“	12	2	5	5	3—13	9
„ლოკომოტივი“	12	3	2	7	6—18	8
„ვოლნა“	12	2	3	7	10—15	7

„ვიმპელის“ წაგებამ საუცხოოდ მოთამაშე ბაქოელებთან გაამწვავა I ადგილისთვის ბრძოლა. ფინიშამდე 2 ტურით ადრე ორივე გუნდს 17-17 ქულა დაუგროვდა. III ადგილზე მყოფი „მეხნატი“ ლიდერებს მხოლოდ ქულით ჩამორჩება. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ორმა და სამმა გუნდმაც კი ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვოს. ამ შემთხვევაში გამარჯვებულს დაასახელებს ერთწრიანი დამატებითი ტურნირი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55. სპორტული — 99-56-47. 93-97-53. ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56. მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57. ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03958